ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1196860

ნომერი: AR1205976

თარიღი : 20.03.2014

გაცემის თარიღი : 03.04.2014

გაცნობის თარიღი : 03.04.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბექა კალანდაძე პ/ნ 01025004870
- თბილისი დიდი დიღომი დ.თავდადებულის ქ. N 22 ბ. 40

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

2014 წლის 12 მარტის AR1205976განცხადებით ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს მომართა მოქალაქე ბექა კალანდაძემ დამოითხოვა ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით #01.72.14.011.199–ზე საწყობის და ოფისის დასაგეგმარებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა.
საპროექტო ტერიტორია დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი რუკის მიხედვით მდებარეობს საცხოვრებელ ზონა 2 (სზ–2)–ში, რომელშიც საოფისე შენობის განთავსებას ესაჭიროება სპეციალური ზონალური შეთანხმება. აღნიშნულის გათვალისწინებით საკითხი ტერიტორიის სამშენებლო განვითარების მიზანშეწონილობაზე განიხილა „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის“ სხდომამ, რომელზედაც მიღებული იქნა უარყოფითი დასკვნა. ზემოაღნიშნული კომისიის 2014 წლის 27 მარტის სხდომის ოქმი #12-ის რეკომენდაციის და სამსახურის გადაწყვეტილების შესაბამისად

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად

ვბრძანებ

უარი ეთქვას მოქალაქე ბექა კალანდაძეს ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით #01.72.14.011.199–ზე საწყობის და ოფისის დასაგეგმარებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.